№1

დეკემბერი-იანვარი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

,,ჩვენთან არს ღმერთი!

მინდა სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით ბოლნისის ეპარქიის კურთხეულ შვილებს, სიხარულით მივულოცო შობა-ახალი წელი.

მინდა გისურვოთ სიყვარული, სიკეთე, მტკიცე სარწმუნოება, ურთიერთ თანადგომა, ჯანმრთელობა. განსაკუთრებით ამ რთულ პერიოდში, ჩვენ მადლობას ვწირავთ კაცთმოყვარე ღმერთს, თითოეული დროისა და ჟამისათვის, როგორი რთულიც არუნდა იყოს ის. შევთხოვთ მას, რომ მიმადლოს მშვიდობა, შეწევნა და წყალობა განსაცდელში მყოფ ყველა ადამიანს, რომელსაც ახლა ძალიან უჭირს, უპირველეს ყოვლისა კი მინდა ვანუგეშო ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ ოჯახებში ვერ ხვდებიან ახალ წელს.

ასევე განსაკუთრებულად დავლოცავ ჩვენს ბავშვებს, ჩვენს შვილებს.

ყველაფერი კარგად იქნება! უფალი მოწყალეა.

შევთხოვოთ მას რომ 2021 წელი მართლაც ყოფილიყოს წელი სიკეთისა, წელი მშვიდობისა, წელი სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობისა.

ყველაფერი კარგად იქნება!.

დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

გილოცავთ მრავალს დაესწარით! უფალი გფარავდეთ ყველას!“-ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა 2020 წელი შეაჯამა

გვ:2-3

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 28 914 000 ლარით განისაზღვრა

გვ:4

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა 2020 წელი შეაჯამა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა 2020 წელს ბოლნისში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა. აღსანიშნავია რომ პანდემიის ფონზე ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიუხედევად, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, სოციალური უზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის ხელშეწყობის კუთხით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

კომფორტული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის წელს 18 მასშტაბური პროექტი განხორციელდა, სასმელი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად 12 პროექტი დასრულდა, 282-მა სტუდენტმა კი ისარგებლა ყოველთვიური მუნიციპალური სტიპენდიით. როგორც ყოველთვის საკმაოდ მრავალფეროვანი იყო 2020 წლის მუნიციპალური სოციალური პროგრამაც. მერმა საუბრისას ასევე ხაზი გაუსვა იმ ერთობლივ დაუღალავ შრომასა და საქველმოქმედო აქტივობებს, რომელიც ბოლნისში ორ თვიანი კარანტინის პერიოდში განხორციელდა.

,,პანდემიის მიუხედავად, ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის 2020 წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა. მომავალი წელი ჩვენთვის კიდევ უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია 2021 წელს კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გეგმავს, რომელთა უმთავრესი მიზანიც ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა და მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარება იქნება,"განაცხადა დავით შერაზადიშვილმა.

გთავაზობთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის ინტერვიუს სრულ ვერსიას...

,,ძვირფასო ბოლნისელებო, მალე 2021 წელი შემობრძანდება. მინდა, ბოლნისსა და სრულიად საქართველოს ახალი წელი მივულოცო. ახალი წელი ყოველი თქვენგანისთვის ბედნიერების, წარმატებისა და მშვიდობის მომტანი ყოფილიყოს!

მსურს, მუნიციპალიტეტში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები და პროგრამები მოკლედ შევაჯამო.

2020 წელი, პანდემიიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისა და სრულიად საქართველოსთვის გამოწვევებით სავსე წელი იყო. პირველი ტალღის პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 2 თვის განმავლობაში საკარანტინო მდგომარეობის პირობებში უწევდა ცხოვრება. მოხარული ვარ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობა მთელ რიგ შეზღუდვებსა და წესებს გაგებით ეკიდებოდა და ზედმიწევნით იცავდა, რამაც მუნიციპალიტეტში სტაბილური ეპიდსიტუაციის შენარჩუნება განაპირობა. ამ რთულ პერიოდში განსაკუთრებული სიმამაცე ჩვენმა მედიკოსებმა, მოხალისეებმა და სამართალდამცველებმა გამოიჩინეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

საკარანტინო პერიოდის განმავლობაში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე გადავიდა. შეიქმნა საგანგებო შტაბი, ამოქმედდა უფასო ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება შეძლებისდაგვარად სწრაფად ხდებოდა.

2 თვის განმავლობაში, კორონავირუსის პრევენციის მიზნით, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე აქტიურად ვაწარმოებდით საინფორმაციო კამპანიას. მედიკოსების მიერ ხდებოდა PCR ტესტების გაკეთება, ასევე რამდენიმე ეტაპად განხორციელდა მოსახლეობის მასობრივი თერმოსკრინინგი. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობას ანტიგენის სწრაფი და PCR ტესტების გაკეთება ახლაც სრულიად უფასოდ შეუძლია.

ამ პერიოდის განმავლობაში არ შეჩერებულა „სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესით" განსაზღვრული არცერთი პროგრამა. მუნიციპალიტეტმა აქტიურად დაიწყო მოწყვლადი კატეგორიის ოჯახების დახმარება. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჯამში 13 567 სასურსათო პაკეტი დარიგდა. საკარანტინო პერიოდში 530 ბენეფიციარი მედიკამენტებით, მკურნალობის, დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსებითა და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად მატერიალური დახმარებით უზრუნველვყავით.

განსაკუთრებით დიდი მადლობა მსურს გადავუხადო ბიზნეს სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებს, რომლებმაც საკარანტინო პერიოდში მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებს სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია. ამ თანადგომამ ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენ რთულ პერიოდებში ერთი მიზნის ირგვლივ გაერთიანება შეგვიძლია და ასე თუ მომავალშიც გავაგრძელებთ, მჯერა, რომ სულ მალე, ყველანი ერთად, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, არაერთ წარმატებას მივაღწევთ.

პანდემიის მიუხედავად, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა არ შეწყვეტილა. 2020 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში 10 966 414 ლარის ღირებულების 149 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

საგზაო ინფრასტრუქტურისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა

კომფორტული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის 2020 წელს 18 მსხვილი პროექტი განხორციელდა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჯამში 9 938 გრძივი მეტრის მოცულობის 6 138 235 ლარის ღირებულების გზა მოეწყო.

მოსახლეობის მოთხოვნით, წელს დაბა კაზრეთში 3 კორპუსის მიმდებარედ შიდა გზის მოწყობის სამუშაოები განვახორციელეთ. კორპუსების ირგვლივ ასფალტის საფარი დავაგეთ და სანიაღვრეები მოვაწყვეთ. აღსანიშნავია, რომ დაბაში 15 000 კვადრატული მეტრის მოცულობის დაზიანებული გზების შეკეთება კომპანია „არემჯიმ" განახორციელა, კომპანიამ ასევე შიდა გზა რამდენიმე კორპუსის მიმდებარედაც მოაწესრიგა.

წელს სოფელ რატევანში 5 ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო . მოხარული ვარ, რომ სოფელში წლების განმავლობაში არსებულ შიდა გზების პრობლემას თანდათან აქტიურად ვაგვარებთ. წელს ასფალტი კიდევ 3 სოფელში დავაგეთ. საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 3808 გრძივი მეტრის მოცულობის ასფალტის გზა მოეწყო. სამუშაოები „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა" და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისმა სრულმა ღირებულებამ 1 822 134 ლარი შეადგინა.

ბეტონის საფარი წელს სოფელ ქაპალაში, ძველ ქვეშში, ქვემო ბოლნისში, მამხუტსა და მუშევანში დაიგო. საერთო ჯამში, 2020 წელს, 5050 გრძივი მეტრის მოცულობის ბეტონის გზა გაკეთდა, რისთვისაც 2 818 681 ლარი დაიხარჯა.

ადგილობრივი ბაზალტით ქვაფენილის გზა ქ. ბოლნისში მერაბ კოსტავას ქუჩაზე, მის მიმდებარე ჩიხებსა და იაკობ ცურტაველის ქუჩებზე, ასევე სოფელ ქვეშში მოეწყო. ბოლნისის მუნიციპალიტეტის

მასშტაბით 1080 გრძივი მეტრი ქვაფენილის გზის დაგებას ჯამში 1 497 419 ლარი მოხმარდა.

წელს დაიწყო ისტორიული პროექტის „მარნეულის წყლის-წყალარინებისა და ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობა", რომელმაც ქალაქ ბოლნისში არსებული კანალიზაციის ქსელის პრობლემა უნდა მოაგვაროს. ამ ეტაპზე სამუშაოები ცენტრალურ მაგისტრალზე მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ, ქალაქში არსებული საკანალიზაციო სისტემები მთავარ ქსელს მიუერთდება. პროექტის სრულად განხორციელების შემდგომ ჩვენ, ქალაქ ბოლნისის დასავლეთ ნაწილში, შიდა გზების მოწყობას აქტიურად დავიწყებთ.

2020 წელს საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე დაბა კაზრეთში მიმდინარეობდა, დაბა თამარისსა და ქალაქ ბოლნისში კი კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია მრავალსართულიან ბინებშიც განხორციელდა.

სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია

სასმელი წყლის რეაბილიტაციისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ბიუჯეტისა და „სოფლის განვითარების პროგრამის" დაფინანსებით წელს 12 პროექტი განხორციელდა, სრული ღირებულებით 806 983 ლარი. წელს სოფელ ტალავერში წყალმომარაგების ქსელის გაფართოების სამუშაოებიც განვახორციელეთ. დღეის მდგომარეობით, სოფელში, რელიეფიდან გამომდინარე, სასმელი წყალი შეფერხებით მხოლოდ ერთ უბანს მიეწოდება, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად კი მომავალ წელს ჭაბურღილის გაკეთება იგეგმება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2020 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა" და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, დაბა კაზრეთსა და დაბა თამარისში 1 349 008 ლარის ღირებულების 55 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. პროექტების ძირითადი მიმართულება წყლის სისტემების, საგზაო



ინფრასტრუქტურისა და სპორტული სივრცეების მოწყობას მოიცავდა.

სოციალური პროექტები

ბოლნისის მუნიციპალიტეტი სოციალური პროგრამებით უდავოდ გამოირჩევა. 2020 წელს, ამ მიმართულებით, 3 302 900 ლარი დაიხარჯა. ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით 206-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 200 188 ლარი გამოიყო. 270 შშმ პირის დახმარებებს 348 100 ლარი მოხმარდა, სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიური კვების უზრუნველყოფისთვის კი 15 300 ლარი დაიხარჯა.

2020 წელს, რეინტენგრირებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარებებისთვის 6 400 ლარი გამოიყო. სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის სეზონზე მატერიალური დახმარებით მერიამ 581 ბენეფიციარი უზრუნველყო, რისთვისაც 116 250 ლარი დაიხარჯა. ბინის ქირის გადასახადი 2020 წელს 17 ბენეფიციარს გადავუხადეთ, რამაც ჯამში 18 800 ლარი შეადგინა. სოციალურ

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა 2020 წელი შეაჯამა

საცხოვრისებში მცხოვრები 38 ოჯახისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფას კი 30 300 ლარი მოხმარდა.

სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამით, 2020 წელს, 3 212 ბენეფიციარმა ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 936 812 ლარი დაიხარჯა. ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა დახმარებას 12 300 ლარი მოხმარდა. ერთჯერადი დახმარებებით კი 6 780 ბენეფიციარმა ისარგებლა, ამ პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს, 832 500 ლარი დავხარჯეთ. 2020 წელს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას 735 900 ლარი მოხმარდა.

ტურიზმის ხელშეწყობა

ჩვენ აქტიურად ვცდილობთ ბოლნისის მუნიციპალიტეტი ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად ვაქციოთ. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, 2020 წელსაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. 2020 წელს ქვეშის ციხემდე მისასვლელი გზის მოწყობის ისტორიული პროექტი განხორციელდა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში ციხემდე მისასვლელი გზა სრულად მოეწყო. 100 გრძივ მეტრზე ბეტონის საფარი დაიგო, ხოლო 485 გრძივი მეტრი ადგილობრივი ბაზალტით

მოიკირწყლა. ობიექტზე დამონტაჟდა გარე განათებები და რკინის მოაჯირები. პროექტის სრულმა ღირებულებამ 595 000 ლარი შეადგინა.

2020 წელს ევროკავშირის გრანტის დაფინანსებით თამაზ სტეფანიას სახელობის ქუჩის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი განხორციელდა. პროექტის ფარგლებში საცხოვრებელი სახლების ფასადები რეაბილიტირდა, მოეწყო ღობეები და თითოეული მოსახლის კარები განახლდა. სამუშაოების სრულმა ღირებულებამ 54 300 ლარი შეადგინა. ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, წელს ასევე, ბოლნისის ისტორიულ ნაწილში დაიდგა ტურისტული მარკირების ნიშნები, რომლებზეც ძველი გერმანული უბნებისა და ისტორიული ნაგებობების შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დატანილი.

21 ივლისს ბოლნისის ახალი მუზეუმი გაიხსნა. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამუზეუმო შენობაში მუდმივმოქმედი ექსპოზიცია

და საგამოფენო სივრცე მოეწყო. მუზმეუმში ასევე გამორჩეული ადგილი უკავია 200 წლის წინ, სამხრეთ გერმანიიდან საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელების მოღვაწეობისა და მათი ცხოვრების ამსახველ ექსპოზიციას. მუზეუმში ასევე განთავსებულია გოეთეს ინსტიტუტის მედიათეკა. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც გოეთეს ინსტიტუტმა, რომელიც მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი, მუზეუმში მედიათეკა გახსნა. ბოლნისის ახალი მუზეუმი კომპანია „არემჯის“ დაფინანსებით აშენდა, რისთვისაც კომპანიას დიდ მადლობას ვუხდი. ვფიქრობ, ახალი მუზეუმი არაერთ ტურისტს დააინტერესებს და ეს სივრცე, ჩვენს მუნიციპალიტეტში, თავის გამორჩეულ ადგილს აუცილებლად დაიმკვიდრებს.

წელს საფუძველი ჩავუყარეთ უმნიშვნელოვანეს პროექტს, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიის თემის ეკონომიკური გაძლიერება და ბიზნეს აქტივობების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც, სოფელ ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავაჭრო დახლები, სახელოსნოები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები მოეწყობა. ტურისტულ



სექტორში ჩართული ტანძიის მოსახლეობა კი გაყიდვებისა და სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით გადამზადდება.

პროექტისთვის UNDP-მ 59 200 ლარის ოდენობის გრანტი გამოყო. მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება კი 36 000 ლარს შეადგენს. გრანტის ფარგლებში იგეგმება მუზეუმის ელექტრონული პლატფორმის შექმნაც.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა, ამიტომ, ჩვენც ვცდილობთ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელოთ. 2020 წელს, პანდემიის პირობებში, ჩვენს ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებაში ხელი არ შეშლიათ. საკარანტინო პერიოდის განმავლობაში გაიცემოდა სპეციალური საშვები, რომელთა დახმარებითაც ფერმერებს გადაადგილებაზე შეზღუდვა არ ექმნებოდათ.

2020 წელს სოფელ ნახიდურში საექსპორტო კარტოფილის შემკრები პუნქტი გაიხსნა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, კარტოფილის ექსპორტი სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ ამ სადისტრიბუციო პუნქტის საშუალებით განხორციელდა. სოფელ ნახიდურში სადისტრიბუციო პუნქტის გახსნა კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გადაწყდა. 2020 წელს კი სოფელ ხატისოფელში ახალი სამაცივრე მეურნეობა

ამოქმედდა, რომელიც სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ საწარმოში ჯამურად 1 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, სამაცივრე მეურნეობაში 800 ტონამდე ბოსტნეულის შენახვაა შესაძლებელი. მსგავსი მეურნეობების შექმნა ვფიქრობ, მუნიციპალიტეტში ამ დარგის კიდევ უფრო მეტად განვითარებას განაპირობებს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობა. ევროკავშირის დამსახურებით, საქართველოს მასშტაბით, ჩვენ ერთადერთი მუნიციპალიტეტი ვართ, რომელიც აგროცენტრის საშუალებით, ადგილობრივ დამწყებ ფერმერებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს პროდუქტის

წარმოებაში ეხმარება. აგროცენტრმა ფუნქციონირება 2020 წელს დაიწყო და ის ფერმერებს ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე საკონსულტაციო მომსახურებას აწვდის, მათ ფინანსურ, იურიდიულ და მარკეტინგულ საკითხებში დახმარებას უწევს. ცენტრი ასევე ფერმერებს თანამედროვე დანადგარების გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეფუთვის, ეტიკეტირების, გაფილტვრისა და ბოთლებში ჩამოსხმის მობილურ სერვისსაც სთავაზობს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

პანდემიიდან გამომდინარე, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღი დაიკეტა და დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყეტილება, სასწავლო პროცესის შეჩერების მიუხედავად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ყველა მოსწავლისთვის სასურსათო პაკეტები დაერიგებინა. საერთო ჯამში ჩვენ ოთხჯერ გავეცით საკვები პროდუქტებისგან შემდგარი პაკეტები, რისთვისაც ჯამში 385 134 ლარი დავხარჯეთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა პატარებმა მერიისგან წინასაახალწლო ნობათებიც მიიღეს.

2020 წელს დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღის შენობის კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოები განვახორციელეთ. სამუშაოების ჩატარება 2019 წელს ბაღის შენობაზე აღმოჩენილი ბზარების შედეგად გახდა აუცილებელი. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რისთვისაც 209 176 ლარი დაიხარჯა.

წელს ასევე სოფელ ტანძიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სველი წერტილების, სამზარეულოსა და ერთი ჯგუფის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, ჯგუფში ასევე გათბობის სისტემაც დამონტაჟდა. პროექტი სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულება 84 206 ლარი შეადგინა.

საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა

ჩვენ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვაქცევთ საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწერიგებას, ამ მხრივ არც 2020 წელი იყო გამონაკლისი. ქალაქ ბოლნისის N2, დაბა კაზრეთის N2, სოფლების: ქვემო ბოლნისის, ხატისოფლის, სოფელი ბოლნისის, ზემო არქევანის, ქვემო არქევანის, ჯავშანიანის, ძველი ქვეშისა და გეტას საჯარო სკოლებში წელს სველი წერტილების რეაბილიტაცია განხორციელდა. დაბა კაზრეთის N2 საჯარო სკოლაში ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავი გაკეთდა. 2020 წელს, ასევე, სოფელ ნახიდურის საჯარო სკოლაში მზაობის ჯგუფი მოეწყო, სოფელ ქაპალას სკოლაში კი სახურავი რეაბილიტირდა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სოფელ ზვარეთში, 60 ბავშვზე გათვლილი ახალი სკოლის მშენებლობა დასრულდა.

ახალგაზრდების ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ წელს უნივერსიტეტები დისტანციური სწავლის რეჟიმზე გადავიდნენ, ბოლნისის მუნიციპალიტეტს სტუდენტების დაფინანსება არ შეუწყვეტია. სტუდენტების დახმარების პროგრამის ფარგლებში, ყოველთვიური სტიპენდიით, 2020 წელს 147-მა სტუდენტმა ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 45 800 ლარი დაიხარჯა. 135 წარჩინებული სტუდენტის დაფინანსებამ კი 50 000 ლარამდე შეადგინა. 2020 წელს მერიამ სტიპენდიები ასევე პროექტ „ეტალონის“ გამარჯვებულებსაც დაუნიშნა.

2020 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ სპორტსმენებს, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ფრენბურთში, კრივში, ასევე სპორტული ცეკვების ჩემპიონატის გამარჯვებულ ახალგაზრდებს ყოველთვიური ფულადი სტიპენდია დაუნიშნა, რისთვისაც ჯამში 101 850 ლარი დაიხარჯა.

პანდემიის მიუხედავად, ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის 2020 წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული ონლაინ ვიქტორინა „გაანათე შენი გონება“ ენერგოეფექტურობის ცენტრმა, ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის ფარგლებში გამართულ სამ საუკეთესო აქტივობას შორის დაასახელა.

მოხარული ვარ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი უკვე დაამტკიცა. მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი 28 914 000 ლარით განისაზღვრა. 2021 წლის ბიუჯეტში მაქსიმალურადაა ასახული ჩვენი მოქალაქეების საჭიროებები და მუნიციპალიტეტის გამოწვევები, ამიტომ მჯერა, მომავალი წელი ჩვენთვის კიდევ უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია 2021 წელს კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გეგმავს, რომელთა უმთავრესი მიზანიც ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა და მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარება იქნება,“- დავით შერაზადიშვილი.

,,მთელი გულით მსურს შობა-ახალი წელი მოგილოცოთ. ბედნიერებასა და დღეგრძელობას გისურვებთ. ვიმედოვნებ, რომ 2021 წელი სიხარულისა და მშვიდობის მომტანი იქნება როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე სრულიად მსოფლიოსთვის!

წელს შობას პანდემიის პირობებში ვხვდებით და მწამს, რომ ყველანი ერთად, კორონა ვირუსს წესების ზედმიწევნით დაცვით აუცილებლად დავამარცხებთ.

წელს თითოეულმა მოქალაქემ დაამტკიცა, რომ ერთმანეთის გვერდში დგომა შეგვიძლია, ამიტომ ვისურვებდი, რომ თანადგომის სურვილი არასდროს გაგვნელებოდეს. კიდევ ერთხელ გილოცავთ შობას, ამ დღესასწაულს ჩვენი ქვეყნისა და ოჯახებისთვის მშვიდობა და ბედნიერება მოეტანოს!,“ დავით შერაზადიშვილი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 28 914 000 ლარით განისაზღვრა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელიც 28 914 000 ლარით განისაზღვრა.

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დაფინანსებამ 2021 წელს 2 391 000 ლარი შეადგინა. ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის კი 4 075 000 ლარი გამოიყო.

პრიორიტეტულ მიმართულებებად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა და განათლება.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. მიმდინარე წლის ბიუჯეტი ჯამში 28 914 000 ლარია, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეების საჭიროებების დაკმაყოფილებას მოხმარდება. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩევა თავისი სოციალური პროგრამებით, ამიტომ ამ მიმართულებით ბიუჯეტში 2 391 000 ლარია გათვალისწინებული. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ამიტომ 2021 წელს 4 075 000 ლარი არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას მოხმარდება. მოხარული ვარ, რომ 2021 წლის ბიუჯეტში მაქსიმალურადაა მუნიციპალიტეტის საჭიროებები და გამოწვევები ასახული. ვთვლი, რომ მიმდინარე წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, ყველა მიმართულებით წარმატების მომტანი იქნება“,- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა 160 ოჯახს საახალწლო ნობათები გადასცა

ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ბუბა გობეჯიშვილმა და ბოლნისის საკრებულოს, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი მირიანაშვილმა მოწყვლადი კატეგორიის 160 ოჯახს, რომელთა ყოველდღიურ უფასო კვებას ბოლნისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

საშობაო ნობათები „შინ მოვლის სერვისით“ მოსარგებლე მარტოხელა ხანდაზმულ ბენეფიციარებსაც გადაეცათ. ქალაქ ბოლნისსა და დაბა კაზრეთში მოხუცებს საახალწლო ნობათები გოგი მეშველიანმა, ბუბა გობეჯიშვილმა და გიორგი მირიანაშვილმა პირადად მიუტანეს.

,, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილე, ბუბა გობეჯიშვილთან და საკრებულოს წევრებთან ერთად, ქალაქ ბოლნისსა და დაბა კაზრეთში მცხოვრებ „შინ მოვლის სერვისით“ მოსარგებლე მარტოხელა ხანდაზმულებს ვესტუმრეთ, საახალწლო ნობათი გადავეცით და შობა-ახალი წელი მივულოცეთ. მინდა ჯანმრთელობა , მხნეობა და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო თითოეულ მათგანს. ამ ადამიანებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ ჩვენი თანადგომა და მზად ვართ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი,''განაცხადა გოგი მეშველიანმა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერია საახალწლო საჩუქრებს მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებსა და მოხუცებს უკვე რამდენი წელია გადასცემს. აქციამ მიიღო ტრადიციული სახე და ის მომავალშიც გაგრძელდება. საახალწლო ნობათებისთვის მუნიციპალიტეტმა 5912 ლარი გამოყო.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებს საახალწლო ნობათებს გადასცემს, ეს ტრადიცია წელსაც არ დარღვეულა, ნობათები 160-მა ოჯახმა მიიღო. პანდემიის პირობებში მსგავსი დახმარება ვფიქრობ ორმაგად მნიშვნელოვანია. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ყოველთვის

დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ პროგრამებს და ჩვენ ვცდილობთ ვიზრუნოთ და შესაბამისი დახმარება გავუწიოთ შეჭირვებულ ოჯახებსა და მოხუცებს. მსურს შობა-ახალი წელი თითოეულ ჩვენს მოქალაქეს მივულოცო და მათ ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვო“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ბუბა გობეჯიშვილმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედი საბავშვო ბაღების 1253 აღსაზრდელს მუნიციპალიტეტმა საჩუქრად საახალწლო ნობათები გადასცა. ნობათების დარიგების პროცესს „სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ ხელმძღვანელი ლელა გოგმაჩაძე ქალაქ ბოლნისის N2, N4 და N6 საბავშვო ბაღებში დაესწრო.

საახალწლო ნობათებისთვის მუნიციპალიტეტმა 9324 ლარი გამოყო. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა დეკემბრის დასაწყისში საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს 100 ლარიანი სასურსათო პაკეტებიც დაურიგა.

,,დიდი სიყვარულით მინდა მივულოცო შობა-ახალი წელი ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მოსახლეობას. გასული წელი სავსე იყო სირთულეებით, მოგეხსენებათ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, საკმაოდ გაართულა ჩვენი მოქალაქეების ცხოვრება, თუმცა ჩვენ იმედით შევეგებეთ ახალ წელს და გვჯერა, რომ 2021 იქნება აღდგენის, წინსვლის და მომავალი წარმატების წელი ჩვენი ქვეყნისთვის. ასევე, მინდა განსაკუთრებულად მივულოცო ჩვენს მედიკოსებს, პოლიციელებს, ჯარისკაცებს, მეხანძრეებს და თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც სამსახურეობრივ ვითარებაში შეხვდა ახალი წლის შემობრძანებას და ვუსურვო წარმატებები, წინსვლა, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა ოჯახებში. გილოცავთ 2021 წელს!“ - გოგი მეშველიანი.

დადის თუ არა ირანში ავტობუსი?

„მარტივი კითხვების“ სტუმარი შპს კომუნალური სამსახურის უფროსი შმაგი სვანიძეა, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე და კარგადაც გაართვა თავი კითხვებს.

-როგორც ვხედავ, მზად ხართ საპასუხოდ, დავიწყოთ.

საერთაშორისო ავიაგადაზიდვების მიხედვით, რომელ ორ მგზავრს არ შეუძლია იმყოფებოდეს თვითმფრინავის სალონში, ერთ რიგში?

-აშკარად, პილოტი არა.

-რა შუაშია პილოტი, ავიაგადაზიდვაზეა საუბარი, ვინ ან რა იქნებიან?

-მიფრინავს თვითმფრინავი და მიაქვს ტვირთი, მოიცა, რომელ ორ მგზავრზე, ვერ მოვდივარ აზრზე, ძაღლი, კატა?

-კი, ნამდვილად ძაღლი და კატა. ირანში კონდუქტორი არ დადის, დგას ზუსტად შუაში, რატომ?

-ირანში ვაფშე, ავტობუსი დადის?

-კი. დადის.

-არ ვიცი არა, კონდუქტორს ევალება ბილეთები.

-კიდევ ევალება, რომ გაყოს ქალები და კაცები ერთმანეთისგან.

-1445 წელს მოსკოვში ზარებმა თავისით ატეხეს რეკვა, ხალხს მეორედ მოსვლა ეგონა, რა მოხდა?

-დიდი მიწისძვრა?

-კი ასეა, ყოჩაღ.

დედამიწა ყოველდღიურად იმატებს 400 ტონა ნაგავს, რატომ ხდება ეს?

-კოსმოსური მტვერია.

-მართალი ხარ.

კოლუმბიის რაიონ მუზოში აკრძალულია ქათმის დაკვლა სახელმწიფოს წარმომადგენლის გარეშე, რითი იხსნება ეს უცნაური კანონი?

-სახელმწიფო იბარებს, თუ რა ხდება.

-არა, მათ კუჭში შესაძლოა იყოს ზურმუხტი, რომელსაც ქათმები ყლაპავენ, საქმლის მომნელებელი სისტემის უკეთ მუშაობისთვის.

-არ ვიცოდი, ნამდვილად.

-რომელი უნიკალური მახასიათებელით გამოირჩევა რუსეთი, თურქეთი და ეგვიპტე?

-მსოფლიოს ორ ნაწილად ყოფს.

-მას შემდეგ, რაც პელემ გამოსცა წიგნი „მე - პელე“ მან მიიღო ოქროს მედალი განათლების სამინისტროსგან, რისთვის?

-ბევრმა ბავშვმა წერა-კითხვა ისწავლა, რომ ეს წიგნი წაეკითხა. მართალი ხართ.

-მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარის სახელი?

-არ ვიცი.

-მდინარე „დ“ ამერიკაშია. რას კიდებდნენ ქერში ახალ წელს გერმანელები, გასული საუკუნის 30-იან წლებში.

-ნაძვის ხეს.

-რომელი ბორბლის საბურავი არ ტრიალებს მარჯვენა მოსახვევში შესვლისას.

-ყველა ტრიალებს, მხოლოდ სათადარიგო არა.

-კი. ასეა ყოჩაღ, რომელი სიტყვაა ლექსიკონში არასწორი?

-არ ვიცი, დავიბენი.

-თვითონ სიტყვა „არასწორი“.

სატვირთო ავტომობილი მიდოდა სოფელში, გზაში შეხვდა 4 მსუბუქი ავტომობილი, რამდენი მანქანა მიდიოდა სოფელში?

-ერთი.

-მართალია, რომელი ხელით არის უმჯობესი ჩაის მორევა?

-მარცხენით.

-რატომ, კოვზით არ ჯობია, თითი არ დაგეწვება?

-თითით არ ვურევ.

-რა სველდება როდესაც ამშრალებ?

-პირსახოცი.

-მიდიოდა ცოლ-ქმარი, და-ძმა, ცოლისძმა და სიძე, სულ რამდენი ადამიანი მიდიოდა?

-სამი.

-მართალი ხარ.

მე ვცხოვრობ მხოლოდ იქ, სადაც შუქია, მაგრამ, როდესაც პირდაპირ მანათებს ვკვდები, რაზეა საუბარი?

-ვერ ვხვდები.

-ჩრდილია.

რა იზრდება და არასოდეს მცირდება?

-ასაკი.

-ყოჩაღ, კარგად მიპასუხე, ვინ იქნება შემდეგი სტუმარი?

-ოთო ხუტიაშვილი.

-დიდი მადლობა.

დარეჯან ოქრუაშვილი

კომუნალური მეურნეობის თანამშრომლებს საახალწლო ნობათები გადაეცათ

შპს „კომუნალური მეურნეობის“ სამსახურის ხელმძღვანელობამ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენი ქალაქის სისუფთავესა და იერსახეზე დამდეგი შობა-ახალი წელი საახალწლო ნობათით მიულოცა.

შაქარი, ბრინჯი, ზეთი, მაიონეზი, ბარდა, კარაქი, შესქელებული რძე და შოკოლადის ასორტი, ეს იმ პროდუქტების ჩამონათვალია, რომელიც კომუნალური მეურნეობის 113-მა თანამშრომელმა მიიღო.

საჩუქრების შესაძენად საჭირო თანხა, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ბოლნისის რაიონულმა კომიტეტმა, ორგანიზაციის საწევრო დანაზოგიდან გამოყო. აღსანიშნავია, რომ საახალწლო აქციას შპს ,,კომუნალური მეურნეობა“ და ,,საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი” უკვე მეათე წელია ახორციელებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე (2021)

საშობაო ეპისტოლე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიქვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამამულენო:

„ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი" (ფს. 81.6)

უფალმა ადამიანი შექმნა განღმრთობისათვის, ღვთაებრივ სიკეთეთა მიღებისა და ღვთის წინაშე მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის. უფალი თავად არის სათავე, სისავსე და სისრულე სიმართლისა, სიწმინდისა, სიბრძნისა, ქეშმარიტებისა, მოწყალებისა, სიხარულისა, თავმდაბლობისა, მშვიდობისა, წესრიგისა, კეთილდღეობისა, თავისუფლებისა. ამასთან, ეს თვისებები აუცილებლად სიყვარულთან და სიკეთესთან არის დაკავშირებული და ყოველივეს აღემატება.

ბუნებრივია, ადამიანიც ვერ მიემსგავსება უფალს, ღვთის რწმენის, მასთან ერთობის დიდი სურვილისა და ამ თვისებების გარეშე.

საზომისაებრ თვისისა საღვთო მადლთა მქონე იყვნენ ადამი და ევა დაცემამდე. ამიტომაც ჰქონდათ შემოქმედთან ერთობა და განღმრთობაში წარმატების დიდი შესაძლებლობა, თუმცა, ასევე ჰქონდათ სრული თავისუფლება პიროვნული არჩევანისა.

ადამმა და ევამ, გველის სახით ბოროტისაგან ცდუნებულებმა, უფლისგან მიცემული მცნება და მასთან ერთობა სწორედ თავისუფალი ნების არამართებული გამოყენებით დაარღვიეს და ბოროტი ძალისგან მოტყუებულნი, მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამის გამო, ედემიდან განიდევნენ და სამოთხის გარეთ ცხოვრება დაიწყეს.

მიუხედავად ასეთი ურჩობისა და ღვთის ნებისგან განდგომისა, შემოქმედმა ისინი მაინც არ მიატოვა და დიდი სულგრძელებით იწყო ზრუნვა ცოდვით დაცემამდელ მდგომარეობაში კაცთა მოდგმის დაბრუნებისათვის. თაობიდან თაობამდე ღმერთი ისრაელიანებს ესაუბრებოდა მამათმთავრების, წინასწარმეტყველების და სხვა წმიდა ადამიანების მიერ, რომელთა პირითაც აუწყებდა და ახსენებდა აღთქმას მხნელის მოვლინების შესახებ, რომელიც ძე ღმერთის განკაცებით, ჯვარცმითა და აღდგომით აღსრულდა.

დიდება და მადლობა შენდა, უფალო, შენდამი მოლტოლვილთა ყოველთა მფარველო და შემწეო!

როგორ შეხვდა მას ეს ქვეყანა?

მართალი იოსები და მიდგომილი წმინდა მარიამი, რომლებიც წარმოშობით დავით მეფის შთამომავალნი იყვნენ, იუდეის კანონების მიხედვით, საყოველთაო აღწერისთვის ბეთლემში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი არავინ მიიღო თავის სახლში, ყველა კარი მათთვის დაკეტილი აღმოჩნდა და იძულებულნი გახდნენ, გარეუბანში მდებარე გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი.

ამის შეტყობისას შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მთელი იერუსალიმი მასთან ერთად (მთ.2.3). მან იმით შეშინებულმა, რომ იშვა მეუფე ჰურიათა, ანუ, მისი წარმოდგენით, ტახტის მოცილე, ბეთლემში და მის შემოგარენში თოთხმეტი ათასი ჩვილი მოაკვლევინა, რათა მათ შორის ისიც მოეკლათ, ვისი არსებობაც ასე აშფოთებდა.

განკაცებული ღვთისადმი მტრული განწყობა, როგორც ამას წმინდა სახარება გვაუწყებს, შემდგომში მკვეთრად გამოავლინეს ფარისევლებმა და სადუკეველებმა, ასევე სინედრიონის სხვა წევრებმა და მათგან გადაბირებულმა ხალხის ნაწილმა.

რა იყო ამის მიზეზი?

პირველ რიგში ის, რომ მაცხოვარი საერთოდ არ ჰგავდა ისეთ მეფეს, ისეთ მესიას, რომელსაც რჩეული ერი მოელოდა. ისინი რომის იმპერიის მონობისგან გათავისუფლებაზე ოცნებობდნენ, მოელოდნენ ისეთ პიროვნებას, რომელიც თავისი ძალითა და ძლიერებით მეფე დავით წინასწარმეტყველის და სოლომონ ბრძენის ხანაზე უკეთეს ყოფას მოუტანდა მათ, ყველას დასჯაბნიდა სასწაულებით და განადიდებდა ქვეყანას.

უფალი კი დაიბადა ბაგაში, ცხოველთა გვერდით, ცხოვრობდა ღარიბ ოჯახში, ნაზარეთში, რომელიც ქვეყნის ისეთ ნაწილს წარმოადგენდა, საიდანაც ერთი წინასწარმეტყველიც არ იყო გამოსული.

მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მიწიერი ძალმოსილება, არამედ მოძიება ისეთი პიროვნებებისა, რომელთა სიწრფელეც და სიკეთეც დასძლევდა ამ სოფლის მბრძანებელთა სიბოროტესა და მზაკვრობას და მათდამი შიშს; რომელთა გონებაც აღივსებოდა ღვთის გასაოცარ ახალ საიდუმლოთა წვდომის უნარით, ხოლო სული კი უშურველად მიჰფენდა სიყვარულს მოყვარესაც და მტერსაც. ეძებდა ადამიანებს, რომლებიც იგრძნობდნენ მისი სწავლების სიდიადეს და ქეშმარიტებას ჰპოვებდნენ მასში.

და რატომ დაიბადა იგი ამ დროს?

მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ისიც არის, რომ რჩეულ ერში მაშინ ცხოვრობდა მარიამი, წმინდა ქალწული, უფლის დამტევნელი, გამართლება მამამთავართა, მსაჯულთა, წინასწარმეტყველთა და ყოველთა მართალთა ღვაწლისა, ძველი აღთქმისა დიდება და მშვენება ახალი აღთქმისა, ევას და ყოველთა ქეშმარიტ მონანულთა ცრემლის აღმხოცი და განცხადება იაკობის სიზმარში დედამიწიდან ზეცამდე აღმყვანებელი კიბისა. უფალი იშვა მაშინ, როდესაც ებრაელთა შორის იყვნენ სულიერად გამორჩეული ადამიანები: იოანე ნათლისმცემელი, თორმეტი მოციქული, სამოცდაათი მოწაფე, ლაზარე, მართა და მარიამი, ნიკოდიმოსი, იოსებ არიმათიელი და სხვანი, სამი ათასი და შემდეგ ხუთი ათასი ებრაელი, ერთ დღეს რომ მოინათლნენ...

ღვთის შეწევნით, ამქვეყნად მათ სხვა სივრცე შექმნეს, სხვა წესით ცხოვრება შემოგვთავაზეს და სულ სხვა სამეფოს ჩაუყარეს საფუძველი, რომლისკენაც მთელ დედამიწას მოუხმეს.

დიდება და მადლობა შენდა უფალო ძალთაო, ყოვლისა მპყრობელო, დიდება და მადლობა თქვენდა, ყოველნო წმინდანო ღვთისანო!

შობა უფლისა გასაოცარი სიხარულის მომტანია, რომელსაც სიყვარულით, მადლიერებით და პასუხისმგებლობით უნდა შევხვდეთ.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ მხოლოდ სიტყვით ღვთის სიყვარული არაფრის მომცემია, თუ იგი საქმით, მოყვასთან მიმართებაში, არ ჰპოვებს მუდმივად გამოვლენას. მოყვასის სიყვარულიც აზრს კარგავს და ამპარტავნების მიზეზად იქცევა მათთვის, ვისაც თავისი ქველმოქმედებით საკუთარი პიროვნების წარმოჩენა სურს და სიკეთეს ღვთისა და მოყვასის უანგარო სიყვარულით არ აღასრულებს.

შეიძლება კარგი ექიმი იყო, ან ინჟინერი, მიწის მუშაკი, მომსახურე პერსონალი, ან მეცნიერების ნებისმიერ დარგში გქონდეს დიდი წარმატება, იყო ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს ცნობილი წარმომადგენელი, სპორტსმენი, ექიმი, იურისტი, მასწავლებელი, სტუდენტი, თუნდაც სასულიერო პირი, მაგრამ თუ შენს საქმიანობასთან ერთად არ გაქვს თვალი უფლისკენ მხედველი და არ ზრუნავ შინაგანი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იქნები ცარიელი ქურჭელი, ღვთის სისავსის მიღმა მყოფი.

როგორც ეკლესიის მამები გვაფრთხილებენ: არ უნდა დაგვაბრმავოს არაფერმა, მითუმეტეს ჩვენმა ამქვეყნიურმა წარმატებამ, – ჩვენი გონების, ნების, შემოქმედების უნარმა. ყური უნდა მივაპყროთ ჩვენს იდუმალ „გულის კაცს" (სინდისს) (1პეტრე 3,4), გავეცნოთ წმინდა წერილს, მამათა სწავლებას და საკუთარ სულში მოვიძიოთ ის, რაც ღვთისაა, რომელიც არის ჩვენი რეალური „მე".

თუ ამას შევძლებთ, ყველა ის სიკეთეც, რასაც ცხოვრებაში მივაღწიეთ, გახდება ჩვენი სულიერი წარმატების თანაზიარი და ჩვენი განმღრთობის ხელშემწყობი.

ამის გარეშე კი ჩვენში ის წარმართული სამყარო იბატონებს, ისრაელის შთანთქმას რომ ცდილობდა, გარეგნული დიდება ჰქონდა, მაგრამ სულიერად გამოფიტული იყო.

„ღმერთი სულია და მისდამი თაყვანისმცემელთ სულთა და ქეშმარიტებით მართებთ თაყვანისცემა" (იოანე 4, 24) – ბრძანებს სახარება.

ეს არის უმთავრესი, – საკუთარ თავში განწმენდა საღვთო ხატებისა და მიმსგავსება ღვთისა.

დღეს, სამწუხაროდ, ჩვენთანაც და მთელ მსოფლიოშიც ბაბილონსა და ნინევიას ემსგავსება ცხოვრება. წახალისება ხდება თავშეუკავებლობის, გარყვნილების, ცილისწამების, სიცრუის, ავსიტყვაობის, უზნეობის, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის, ათეიზმის, ხოლო ამის მოქმედთა მიმდევრობა მისაბაძ საქმედ ითვლება.

ვიდრე ჩვენ ვიცხოვრებთ შურით, სიძულვილით, შიშითა და განკითხვის სულით და ვეძიებთ მხოლოდ მას, რაც ჩვენს მიწიერ „მეს" ესიამოვნება, უძლურნი ვიქნებით გავხდეთ ზეცის მოქალაქე, თუმცა ღმერთისათვის ყველაფერი შესაძლებელია და იონას მიერ მოხდენილი სასწაული ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაშიც შეიძლება აღსრულდეს.

ვაღებთ რა ახალი წლის კარს, ჩვენს წინაშეა დრო უცნობი და ჯერაც ხელშეუხებელი. როგორი ადვილია ახალი ცხოვრების დაწყება! მთავარია, გვქონდეს სინანული და ვისწავლოთ მადლიერება უფლისადმი, მადლიერება სიცოცხლის მონიჭებისათვის, მადლიერება სიხარულისა და განსაცდელისათვის, ბედნიერებისა და ტკივილისათვის, ჯანმრთელობისა და უძლურებისათვს, რადგან თუ სულიერად განვჭვრეტთ, ყველაფერი ეს მხოლოდ ჩვენი სიკეთისთვის მოგვეცა.

ასე რომ, ღმერთი სხვადასხვა გზით ჩვენც გვწვრთვნის და საუფლო დიდებისთვის გვამზადებს, ამიტომაც ყველაფრისთვის უნდა ვმადლობდეთ მას.

ის პრობლემებიც, რაც პანდემიამ დღევანდელ მსოფლიოს მოუტანა, ღვთის დაშვებით მოხდა. ვირუსის უცნაურმა ბუნებამ აიძულა ადამიანები გარკვეულ რეგულაციებს დამორჩილებოდნენ. ეს აუცილებელია, მაგრამ აუცილებელია თითოეული ჩვენგანის ღმერთთან მეტი სიახლოვეც, რადგან არავინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

წმინდა წერილი შეგვაგონებს: „შვილო, შენს სნეულებაზე თვალს ნუ დახუჭავ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს. განაგდე ცთუნება და გაისწორე ხელი და გული განიწმინდე ყოველგვარი ცოდვისგან" (სიბრ. ზირ. 38,9-10).

ასე რომ, ზომიერება გვმართებს, ექიმთა რჩევასაც უნდა დავუგდოთ ყური, მაგრამ უმთავრესი ღვთის მცნებების დაცვა და მის წინაშე სათნო ცხოვრებაა.

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ქისტნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო – ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, მიაპყარით თვალი ბეთლემის ვარსკვლავს, დაე, მისმა ბრწყინვალებამ ჩვენი სულიც აღავსოს საღვთო მადლით და ვიქცეთ ანკარა წყაროდ იმ სივრცეში, რომლის გავლაც გვიწევს მიწიერი ჩვენი ცხოვრების პერიოდში.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, მოციქულებს, ყოველთა წმიდანთა ქრისტეს ეკლესიისა ვავედრებ ჩვენს ქვეყანას, ვავედრებ მსოფლიოს, რომ შევძლოთ დღევანდელ გამოწვევათა დაძლევა და, რაც მთავარია, საუფლო გზის ერთგულება.

„ხმითა სიხარულისაითა დავით წინასწარმეტყველი ღაღადებს დღეს... ბეთლემი დღესასწაულობს, სიონი განსცხრების და ქვეყანაი იშვების შობასა შენსა ქრისტე".

განვიხაროთ ჩვენც და შევძლოთ, ჩვენი ცხოვრებით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

7 იანვარი, 2021 წელი

,,მაქვს იმედი რომ ყველაფერი კარგად იქნება და ისევ შევძლებთ ერთმანეთის ჩახუტებას“

გვინდა გვჯეროდეს, რომ შობის ღამეს ოცნებების ასრულება და სასწაულების მოხდენა შეუძლია. ეს იმედი წლიდან- წლამდე გვახალისებს და თითქოს სიცოცხლის სტიმულს გვაძლევს. არც ჩვენი რესპონდენტია გამონაკლისი, საოცრად პოზიტიური და ხალისიანი მადონა ბიჭაშვილიც მოუთმენლად ელის ახალი წლის ღამეს და სჯერა, რომ ოცნებები ახდება, ოცნება კი საყვარელი საქმის კეთება, სიყვარული და სიკეთეა, არ უნდა სამყარო შავ-თეთრში, სიცოცხლეს, სითბოს, ფერად და ხალისიან ფერებს ანიჭებს უპირატესობას, მისი და თითოეული ჩვენგანის სურვილი ერთია: - „სამყაროს არ აქვს უფლება გაჩერების, მთავარია არ მოვდუნდეთ, მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს, დავაფასოთ სიცოცხლე, თითოეული წამი და წუთი. შობის ღამეს ხომ ნამდვილად ოცნებების ასრულების დროა, ხოდა, მაქვს იმედი ყველაფერი კარგად იქნება, ისევ შევძლებთ ერთმანეთის ჩახუტებას, საყვარელი საქმის კეთებას, ბედნიერებისა და სითბოს გაზიარებას“.

გლობალური პანდემიის მიუხედავად ადამიანებმა უარყოფითთან ერთად, დადებითი მხარეებიც აღმოაჩინეს, ბევრი მათგანი ახალი შესაძლებლობების პირისპირ აღმოჩნდა, სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება მადო ბიჭაშვილი, რომელსაც ბოლნისელი საზოგადოება კარგ მზარეულად იცნობს. იგი დასთან ერთად, რესტორან „სიონს“ ამუშავებს. ერთ დღესაც, დროებით უმუშევარმა, გადაწყვიტა ხელსაქმით დაკავებულიყო. დაიწყო საშობაო დეკორაციების კეთება. პირველივე ცდაზე ნამუშევარი საკმაოდ კარგი გამოვიდა, ერთს მეორე მოჰყვა და, ერთ კვირაში, 30-ზე მეტი საშობაო გვირგვინი და ქოხი შექმნა. მასალას მხოლოდ ბუნებრივს იყენებს. „წინასაახალწლო სამზადისთან ერთად, დავიწყე საშობაო დეკორაციების კეთება, სახლის პირობებში, პირველივე ცდაზე ნამუშევარი კარგი გამოვიდა, შემდეგ სოციალურ ქსელში მათი ფოტოები ავტვირთე, რასაც დიდი მოწონება მოჰყვა, ისპირაცია ჩემი მშობლიური რაჭაა. დათოვლილი ქოხები იქაურობას მაგონებს. იდეების მოწოდებაში, ჩემი მულიშვილიც ანი ონიანი მეხმარება, რომელიც ჩემი პირველი ნამუშევრების შემფასებელია. ხელნაკეთი ნივთები ეკოლოგიურად სუფთაა, მასალად ვიყენებ ხავსს, წიწვებს, გირჩებს, ბამბას, მუყაოს, დაფხვნილ ნახშირსა და კიპაროსის ნაყოფს. დეკორაციების დამზადება საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ სასიამოვნო“.

მადონა საშობაო ქოხებსა და გვირგვინებს დიდი სიყვარულითა და სითბოთი ამზადებს, თითოეული მათგანი, მნახველს, დადებითი მუხტით ავსებს. ბუნებრივი მასალითაც მხოლოდ იმიტომ მუშაობს, რომ უნდა მსურველს ეკოლოგიურად სუფთა ნამუშევარი შესთავაზოს. „ბუნებრივ მასალას ვანიჭებ უპირატესობას. გადავწყვიტე არანაირი ხელოვნური და ქიმიური დანამატები არ გამოვიყენო. ჩემი ნამუშევრები ამით არ შემოიფარგლება და მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებ ხელნაკეთი ნივთების შექმნას. პანდემიამ უამრავი დადებითი მხარე მაჩვენა, ძალიან ცოტა დრო მქონდა ოჯახთან ერთად სახლში ყოფნის, რომელიც მგონია, რომ შევივსე, პანდემიამ ასევე თითოეულ ჩვენგანს დაგვანახა და გვასწავლა ადამიანური ღირებულებების დაფასება, სიყვარული, ერთმანეთზე ზრუნვა და სიცოცხლის ფასი. მჯერა, რომ სამყარო იმაზე უკეთესი გახდება ვიდრე 2020 წლამდე იყო. ბედნიერების წელი დამდგარიყოს, ცხოვრება ფერად სამყაროში გაგვეგრძელებინოს, სადაც ერთმანეთის ჩახუტება, სტუმრობა და მასპინძლობა არ შეგვაშინებს. გვირაბის ბოლოს აუცილებლად ჩანს იმედის სხივი, რასაც აქვს დასაწყისი, იმას დასასრულიც აუცილებლად მოჰყვება.

გილოცავთ 2021 წელს. ეს წელი საქართველოს

გამთლიანებისა და ერთობის ყოფილიყოს. “

-მადლობა მადონა საინტერესო საუბრისთვის, გაზეთის სახელით გილოცავ შობა- ახალ წელს და გისურვებ ყველა კეთილი სურვილი ასრულებას.

მარინა გავაშელი

2 წელი უცხო მიწაზე და ნაქარგებში ჩაქარგული მონატრება

6 წლის ასაკში დედის ნასწავლი ხელსაქმე ცხოვრების მთავარ საქმიანობად აქცია, შეიყვარა, არასდროს მიუტოვებია და სამომავლო გეგმებიც სწორედ მას დაუკავშირა. მოგიყვებით 4 შვილის დედაზე, რომელიც უცხოეთში, ძალიან გადატვრთული დღის რეჟიმის მიუხედავად, საათობით უზის საყვარელ საქმეს. სულ პატარა იყო, ხელში საქსოვი ჩხირები რომ აიღო და დედის მითითებებს მიჰყვა, ყურადღებით ისმენდა და იმახსოვრებდა თითოეულ დეტალს, პირველი ნამუშევარი დღემდე კარგად ახსოვს. საქსოვ ჩხირებს ქარგვაც დაამატა და თითქოს, მეტადაც

შეიყვარა. ,,დავიბადე და გავიზარდე ბოლნისში, აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა, მყავს 4 შვილი, 3 ვაჟი და 1 ქალიშვილი, სულ პატარა ვიყავი დედამ ქსოვა რომ მასწავლა, პირველად ჩემს თოჯინას მოვუქსოვე ტანსაცმელი, შემდეგ ქარგვაც დავიწყე, ნამუშევრებშიც ნაქარგები ჭარბობს, ასევე ვკერავ და მუდამ სიახლის ძიებაში ვარ",ამბობს ნონა ოქრიაშვილი.

ნონა ოქრიაშვილი ჩვენი ქალაქის მკვიდრია, იგი მრავალსულიანი ოჯახის დიასახლისია, მიუხედავად ამისა, ოჯახი დროებით მიატოვა და რამდენიმე ათასი კილომეტრის მოშორებით, უცხო ქვეყანაში, სამუშაოს მაძიებელთა რიგებს მიემატა. მისთვის უცხოეთში წასვლა არ იყო მარტივი, წავიდა რადგან საკუთარ ქვეყანაში, 4 შვილისთვის სათანადო პირობების შექმა რთული აღმოჩნდა. “ჩემი ქვეყნიდან, ჩემი ოჯახიდან წასვლა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ 4 შვილის უზრუნველყოფა არ არის მარტივი, თანაც უფროსი აბიტურიენტია. ვმუშაობ ბევრს, სახლში დაბრუნებული კი საყვარელ საქმიანობას ვაგრძელებ. შვილებთან სიშორეს, სოციალური ქსელი და ჩემი საქმის სიყვარული მიადვილებს. “

თავის საქმიანობებზე უზომოდ შეყვარებული სულ ახლის ძიებაშია, ყველა ხელსაქმე კარგად გამოსდის, სულ რამდენიმე თვეა რაც ახალი რამ აღმოაჩინა, ძალიან მოეწონა და მალევე ალმასებით ქარგვის ტექნოლოგიასაც დაეუფლა. ,,შემიძლია თამამად ვთქვა, ჩემთვის ხელოვნება ყველაფერს ნიშნავს, გაწევრიანებული ვარ უამრავ ჯგუფში და იქიდანაც ვცდილობ ვეზიარო კიდევ უფრო საინტერესოს, ასევე მინდა ვისწავლო სათამაშოების მოქარგვა, ჯერ არ მიცდია, მაგრამ იმედია გამომივა. “

როგორც თავად ამბობს , ნამუშევრების შესაქმნელად, მთავარია რამე ძალიან მოეწონოს, დამღლელი დღის მიუხედავად, საათობით ზის დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად, როგორ ხასიათზეცაა, იმ ტექნიკით მუშაობს, ხან ქსოვს, ხან ქარგავს. ამჟამად ის ხატების შექმნაზე მუშაობს. ხატებთან ურთიერთობა კი მისთვის ერთგვარი თერაპიაა. მისი კეთების სურვილიც ბავშვობიდან მოდის. „ერთ წელიწადს საბერძნეთში, სამი კვირის განმავლობაში, წმინდა ლიდიას მონასტერში მონაზვნებს ხატების შექმნაში ვეხმარებოდი, ოღონდ იქ ჩვეულებრივ სურათებს შეღებილ ფიცრებზე ვაწებებდით, შემდეგ ლაქს ვუსმევდით, ეს პროცესი ძალიან მომწონდა, მას მერე სულ მინდოდა ჩემი ხელით შემექმნა ხატი და ეს სურვილიც ავისრულე. “

უცხოეთში ნამუშევრებს არავის აჩვენებს, უღებს ფოტოებს და სოციალურ ქსელებში ათავსებს. კატეგორიულად არ უნდა ისეთ ადამიანებს გააცნოს მისი ნაკეთობები, ვინც არ იცის ხელოვნების ფასი, არ იცის რამხელა შრომა და უძილო ღამეა ჩადებული თითოეულ ნაკეთობაში. როგორც თავად გვიყვება, 7-8 საათის განმავლობაში შეუსვენებლად მჯდარა, ხოლო თუ ნამუშევარი დასასრულს უახლოვდება, დროის შეგრძნებას საერთოდ კარგავს. „ჩემთვის განტვირთვაა რასაც ვაკეთებ, დაღლილობას ვერ გრძნობ, თუ საათს არ შევხედე, ყოველდღიურად 2 საათს მაინც ვუთმობ საყვარელ საქმეს, თუმცა 8 საათიც ვმჯდარვარ გაუნძრევლად. ქარგვის პროცესი იმდენად მამშვიდებს ,ღამეებიც დამთენებია. მიუხედავად მრავალსულიანი ოჯახისა და უამრავი საქმისა, ბავშვებს რომ დავაძინებდი, საყვარელ საქმეს ვუბრუნდებოდი. “

ნონამ საყვარელი საქმე შვილებსაც ასწავლა, უნდა ცოდნა და გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროს.

ფიქრობს, საქართველოში დაბრუნებისთანავე, გახსნას მაღაზია, სადაც გაიყიდება ქსოვისთვის, კერვისათვის და ქარგვისთვის გამოსადეგი აქსესუარები, ასევე მსურველებს შეასწავლოს და გაუზიაროს გამოცდილება.

,,მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თითოეულ ბოლნისელს, განურჩევლად ეროვნებისა, მივულოცო ახალი 2021 წელი, დაე ეს ახალი წელი იყოს ბედნიერების, სიკეთისა და ყველაფერი კარგის მომტანი"

მსოფლიო პანდემიამ ჩვენს რესპონდენტსაც ჩაუშალა გეგმები, თუმცა, როგორც კომპეტენტური ადამიანები გვარწმუნებენ, სურათი რადიკალურად შეიცვლება და თითოეული ჩვენგანი, შეძლებს დასახული მიზნების ასრულებას.

ნონა ხუზმიაშვილი

სიკეთისთვის ამოქსოვილი „28 თვალი“

სიკეთის საკეთებლად არაა აუცილებელი მდიდარი იყო, კეთილი გული საკმარისია.

ვიქტორია რაკოვსკაია თბილისში დაიბადა, ჰყავს პატარა დანიელი, რომლის დაბადების შემდეგაც, გერმანიაში წასვლა გადაწყვიტა, რათა უფრო მეტი გაეკეთებინა საკუთარი შვილისთვის, დღეს ეხმარება ისეთ პატარებს, რომლებიც დღენაკლულები არიან. ვიქტორია თავად მოგვიყვება, თუ როგორ შეიქმნა ,,28 თვალი“ .

- ვინ ვართ და რას ვაკეთებთ - სიკეთისთვის ამოქსოვილი „28 თვალი“. კლუბის ისტორია დაიწყო ყაზახეთში, 2012 წელს, ჟურნალისტ კარლა ნურის ფოტორეპორტაჟზე ექიმი-ნეონათოლოგის შესახებ მუშაობის დროს. კარლამ შეამჩნია, რომ ერთ-ერთ ბავშვს ეცვა მოქსოვილი წინდები. ექიმებმა დაადგინეს, რომ მატყლის სამოსი ნაადრევ ჩვილებს ზრდასა და განკურნებაში ხელს უწყობს. ქალბატონ კარლას მოუვიდა იდეა, რომ ექიმები უნდა დაკავდნენ ჩვილი ბავშვების მკურნალობით, ხოლო მათთვის ნაქსოვი წინდების მომარაგება სამოქალაქო პირებსაც შეუძლიათ. პატარა წინდის მოსაქსოვად ჩხირებზე ზუსტად 28 თვალი დასჭირდათ. ასე დაიწყო მოძრაობა „28 თვალი“ და გავრცელდა უკვე 12 ქვეყანაში. ყველაფერი წინდებით დაიწყო. შემდეგ ექიმებმა ქუდები, ჟილეტები და პლედები მოითხოვეს, რომლებიც მხოლოდ 100% მატყლით იქსოვება. დღეს კლუბი "სიკეთისთვის ამოქსოვილი 28 თვალი" 12 ქვეყანაში ცნობილია როგორც " 28 петель" თუმცა მე ძალიან მინდოდა, რომ ჩემს ქვეყანაში კლუბს ჰქონოდა დასახელება ქართულ ენაზე. ვფიქრობდით როგორ გადაგვეთარგმნა კლუბის დასახელება და გადაწყდა "28 петель" ქართულად ჟღერდეს -" სიკეთისთვის ამოქსოვილი 28 თვალი", ჩვენ ხომ ნამდვილად სიკეთისთვის ვქმნით ამ პატარა ნივთებს. დღეს გერმანიიდან ვაგრძელებ ჩვენს დიდ ოჯახში კურიერობას. დღეისთვის ინტერნეტი გვაძლევს საშუალებას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ვიყო ახლოს ჩვენს ფერიებთან. ასე კლუბი უწოდებს, ქალბატონებს, რომლებიც უანგაროდ, დაუღლელად გვითმობენ საკუთარ დროს და ძალას ნივთებისა თუ სათამაშოების მოსაქსოვად. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტს არა მხოლოდ თბილისში მოჰყვა გამოხმაურება, არამედ უკვე ბოლნისში, ბათუმში, ბაღდათში, ტყიბულში, დუშეთში, ქიათურაში და ახალციხეში გამოჩნდნენ ჩვენი თანამოაზრეები. ჩვენ კი თბილისიდან ვეხმარებით ძაფების შეძენაში. მეამაყება ეს ხალხი, ვინც დღეს კლუბშია მოხალისედ თუ ფერიის სტატუსით. მე ხომ საერთოდ ვერაფერს გავხდებოდი ამ ხალხის გარეშე. ყველა ნივთი სტერილურადაა შეფუთული, სპეციალურად ამობეჭდილ დედების სახელმძღვანელოსთან ერთად, სადაც მშობლები გაეცნობიან თუ რამდენად სასარგებლოა შალი ჩვილისთვის და როგორ მოუარონ, გარეცხონ ნივთები.

- რაც შეეხება სათამაშოს, რომელსაც რვაფეხას ფორმა აქვს?

- რვაფეხა სათამაშო, რომელიც დამზადებულია 100% ბამბის ძაფით, პირველად დანიაში 2013 წელს ახალგაზრდა დედამ დღენაკლულ შვილს მოუქსოვა, რათა პატარასთვის „ინკუბატორში''ყოფნა შეემსუბუქებინა. ჩვილი პატარა ხელებით ეთამაშებოდა რვაფეხას საცეცებს და ეს ძალიან ამშვიდებდა, მასზე ყურადღება გადაჰქონდა და აღარ ცდილობდა უამრავი არასასიამოვნო მილისა და კათეტერის მოცილებას. ეს სიმშვიდე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ბავშვისთვის. აღნიშნული ეფექტურობის გამო, ამ პრაქტიკამ მალე მოიპოვა პოპულარობა ჰოლანდიაში, შვედეთში და დანიაში. მოგვიანებით, აღნიშნული სათამაშოთი კლუბი „28 თვალი“ დაინტერესდა. ასეთი ისტორიით შეიქმნა კლუბის ნაკრები - წინდები, ქუდი, ჟილეტი, პლედი და სათამაშო. სანამ სათამაშო პატარამდე მივა, ჯერ გადაეცემა დედას რომ ჩაიხუტოს, თავისი სითბო და სიყვარული გადასცეს, აავსოს ენერგიითა და დადებითი ემოციებით, რომელსაც შემდეგ ბავშვი გრძნობს და გაათმაგებულად ებრძვის დღენაკლულობასა თუ სხვა სენს.

-ვისი იდეით ჩამოყალიბდა ეს კლუბი თბილისში?

- გესტაციური ასაკის, 26 კვირაზე მეყოლა 700 გრ. წონით და 30 სმ. ნანატრი ჩვილი. პირველი ორი თვის განმავლობაში მხოლოდ 50/50-ზე იყო ბავშვის გადარჩენის შანსი, ეს სიტყვები მესმოდა ექიმებისგან, მაგრამ დღეს, ყველა პირობაა ასეთი ბავშვების გადარჩენისთვის, რომლებიც იზრდებიან და ვითარდებიან. დღენაკლულობა განაჩენი არ არის. მეგონა, რომ ერთად- ერთი დედა ვიყავი ასეთი ბავშვის, სამწუხაროდ არა. ჩემთვის საშინლად რთულ პერიოდში გავიცანი ერთი ადამიანი, რომელმაც მომითხრო ამ კლუბის შესახებ და შემომთავაზა ჩემი პატარასათვის კლუბის კომპლექტის მოქსოვა. მე თვითონ მეხერხება ქსოვა და გადავწყვიტე სათამაშოთი დამეწყო. პირველი არ გამომივიდა, მაგრამ არ შევეშვი, მოვქსოვე მეორე და მივუტანე პატარას. ჩემს შემთხვევაშიც სათამაშომ თავისი საქმე შეასრულა. მომხდარის შემდეგ, გადავწყვიტე საქართველოშიც გახსნილიყო კლუბი. საკუთარი გამოცდილებიდან

ვიცი, რას ნიშნავს, ასეთ რთულ დროს, მხარდაჭერა. მინდოდა სხვა პატარებისთვისაც გამეზიარებინა სითბო და გამეხარებინა მათი მშობლები. ასე დაიწყო ჩვენი მოღვაწეობა საქართველოში და გავხდით ამ ჰუმანური მოძრაობის მე-9 ქვეყანა. იქსოვება უამრავი ნაკრები და გადაეცემა ნეონათოლოგიის განყოფილებებს. კლუბის მოხალისეები არიან ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქეები. დღეს კლუბი სრულიად უფასოდ ამარაგებს პერინოტალურ ცენტრებს სათამაშოებით და მატყლის ტანსაცმლით. როგორც უკვე აღვნიშნე, კლუბის მოღვაწეობა არის სრულიად საქველმოქმედო. არ გვაქვს დაფინანსება და მოხალისეების დახმარებით ვყიდულობთ ძაფებს. ბევრი ქალბატონია, რომელიც მზად არის უანგაროდ მოქსოვოს შალის ნივთები და სათამაშოები, მაგრამ საზოგადოების დახმარების გარეშე ჩვენ ეს გვიძნელდება. პირველი წუთებიდან ექსტრემალურად მცირე წონით დაბადებულ ახალშობილებს სჭირდებათ ზრუნვა სითბოს შენარჩუნებაზე. სითბოს დაკარგვას მივყავართ იმ მდგომარეობამდე, რომ ორგანიზმი იძულებულია დაკარგოს ენერგია გათბობაზე და არა ზრდა- განვითარებაზე. სითბოს შენარჩუნებისთვის იყენებენ მატყლის ტანსაცმელს. დღენაკლული ბავშვები სითბოს 50% კარგავენ, რადგან თავის ზომის შეფარდება სხეულის ზომებთან აღემატება ზრდასრული ადამიანის ფარდობით ზომებს. ამისათვის ვიყენებთ ქუდებს. წინდებს იმიტომ იყენებენ, რომ სანამ სისხლი მიაღწევს კიდურებს, ის გრილდება. მატყლის ბოჭკოების ხახუნი ახალშობილის ფეხთან - ეს არის ტერფების რეფლექტორული ზონების ბუნებრივი მასაჟი, რომელიც არამარტო ათბობს, არამედ ზოგად გამაჯანსაღებელ მოქმედებას ახდენს ორგანიზმზე. ასეთი მდგომარეობა არ აძლევს პატარას საშუალებას შევიდეს ღრმა ძილში და დაავიწყდეს ჩასუნთქვის გაკეთება. ასევე მატყლის პლედები და ჟილეტები გამოიყენება სუნთქვის გაჩერების საწინააღმდეგო მკურნალობისთვის. სასუნთქი ორგანოების მოუმწიფებლობის გამო ხდება სუნთქვის გაჩერება, მატყლის პლედი ან ჟილეტი ეხმარება პატარას იმოძრაოს და ასტიმულიროს სუნთქვა. სამწუხაროდ, ჩვილი ბავშვებისთვის ვერ გამოვიყენებთ ჩვენს განთქმულ ქართულ მატყლის ძაფს, რადგან ძალიან უხეშია. ამის გამო ვიყენებთ იტალიური, თურქული ან რუსული წარმოების რბილი მატყლის ძაფებს. ვეძებთ მათ, ვისაც სურს შემოუერთდეს პროექტს და უფრო ბევრი ჩვილი გავათბოთ ჩვენი ნაქსოვით. თუ არ იცით ქსოვა, მაგრამ გაქვთ სურვილი ისწავლოთ, სიამოვნებით გასწავლით. ჩვენ მივესალმებით მათაც, ვინც შემოგვიერთდება და გვაჩუქებს ძაფებს. თუ რა ძაფებით იქსოვება ჩვილი ბავშვების ქსოვილები, შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ფეისბუკ გვერდზე „28 Petel Georgia Tbilisi". ასევე ინსტაგრამზე „28petelgeorgia" ერთათ ვაკეთოთ კარგი საქმე და ვაჩუქოთ პატარებს სითბო.

- რამდენადაც ვიცით, თქვენმა კლუბმა ჯილდოც მიიღო

-მართალი ხართ, მივიღეთ ჯილდო "ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის" - ეს არის ჯილდო, რომელიც წელს გადაეცა კლუბს. ამ პროექტმა გააერთიანა ადამიანები, რომლებიც გულგრილი არ არიან ნაადრევი ჩვილების პრობლემის მიმართ. დღეს კლუბის წევრებს, ათასობით ადამიანს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მოქსოვილი აქვთ 50 ათასზე მეტი მატყლის ნაწარმი და ბამბის სათამაშო, ნაადრევად დაბადებული ჩვილების სიცოცხლის გადასარჩენად.

-საქართველოში რამდენ საავადმყოფოს აწვდით თქვენს ნაწარმს სრულიად უსასყიდლოდ?

- სამწუხაროდ, ნეონათოლოგიის მხოლოდ სამ განყოფილებას ვაწვდით ჩვენს ნაქსოვ ნივთებს. მაგრამ კიდევ ბევრი NUCI განყოფილებაა მზად, მიიღოს ჩვენი ნაკრებები. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ უფრო მეტი მოხალისე შემოგვიერთდება, უფრო მეტი ნივთი მოიქსოვება და შევძლებთ ყველა ბავშვის გათბობას და მათი მშობლების მხარდაჭერას. ჩვენი მოხალისეების მეშვეობით, შევძელით და მოვქსოვეთ საახალწლო ქუდები. ღუდუშაურის კლინიკის მედპერსონალს არ დაეზარა და მშობლებზეც იზრუნა. ახალი წლის დადგომისას, როდესაც მშობლების სანუკვარი სურვილი ჟღერდა, გაანათეს ტელეფონების ეკრანები და NUCI-დან პატარები ულოცავდნენ მშობლებს ახალ წელს. ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ ამ სასიხარულო მომენტებში მცირედით მონაწილეობა შევძელით. ნაადრევად დაბადებულთა მშობლებო, ნუ დაკარგავთ რწმენას და იმედს. ისინი ძლიერები არიან

და ძალიან მალე, უკვე სახლში, გაგახარებთ თქვენი პატარა გმირების წარმატებები. უღრმესი მადლობა ნეონათოლოგიის განყოფილების ექიმს, ექთანს და ყველას, ვინც ჩვენს ბავშვებზე ზრუნავს და იბრძვის მათი სიცოცხლის გადასარჩენად. ეს ხომ ის ხალხია, რომლებიც მშობლების მაგივრად, დღე და ღამე ითვლიან ჩვილების გულისცემას და იბრძვიან ყოველი მომატებული გრამისთვის.

დარეჯან ოქრუაშვილი

Bolnisi Bələdiyyə meri 2020-ci ili yekunlaşdırıb

Bolnisi Bələdiyyə meri Davit Şerazadişvili, 2020-ci ildə Bolnisidə həyata keçirilən mühüm layihələrdən danışdı. Qeyd edək ki, pandemiya fonunda ölkədəki vəziyyətə baxmayaraq, bu il bələdiyyədə infrastruktur, su təchizatı, sosial təminat, kənd təsərrüfatı və turizm sahələrində bir sıra mühüm layihələr həyata keçirilmişdir.

Bu il konfortlu yol infrastrukturunu təmin etmək üçün 18 irimiqyaslı layihə həyata keçirildi, içməli su təminatını yaxşılaşdırmaq üçün 12 layihə tamamlandı və 282 tələbə aylıq bələdiyyə təqaüdü aldı. Həmişə olduğu kimi, 2020 bələdiyyə sosial proqramı olduqca müxtəlif idi. Bələdiyyə meri, iki aylıq karantin dövründə Bolnisidə baş verən birlikdə yorulmaqdan işləyən və xeyriyyəçilik fəaliyyətlərini də vurğuladı.

"Pandemiyaya baxmayaraq, 2020-ci il Bolnisi bələdiyyəsi üçün səmərəli oldu. Gələn il bizim üçün daha uğurlu olacaq. Bolnisi Bələdiyyəsi, əsas məqsədi vətəndaşlarımızın rifahı və bələdiyyənin sürətli inkişafı olacaq 2021-ci ildə yenidən bir sıra mühüm layihələr həyata keçirməyi planlaşdırır ",- Davit Şerazadişvili bildirib.

Bolnisi Bələdiyyə merinin reportajının tam versiyasını təqdim edirik ...

Hörmətli Bolnisi sakinləri, tezliklə 2021 gələcək. Bolnisi və Gürcüstanı Yeni il münasibətilə təbrik etmək istəyirəm. Yeni il hər birinizə xoşbəxtlik, uğurlar və əmin-amanlıq gətirsin!

Bələdiyyədə həyata keçirilən vacib layihə və proqramları qısaca xülasə etmək istəyirəm.

2020-ci il, pandemiya səbəbindən ölkəmiz və bütövlükdə Gürcüstan üçün çətinliklərlə dolu bir il oldu. İlk dalğa zamanı Bolnisi Bələdiyyəsinin əhalisi 2 ay karantin şəraitində yaşamaq məcburiyyətində qaldı. Bu müddət ərzində bələdiyyəmizin əhalisinin əksəriyyətinin bələdiyyədə sabit epidemioloji vəziyyətin qorunmasına səbəb olan bir sıra məhdudiyyətləri və qaydaları başa düşdüyünə və ciddi şəkildə riayət etməsinə sevindim. Bu çətin dövrdə həkimlərimiz, könüllülərimiz və hüquq-mühafizə orqanlarımız xüsusi cəsarət göstərdilər, buna görə onlara təşəkkür edirəm. Karantin dövründə Bolnisi Bələdiyyəsinin meriası 24 saatlıq iş rejiminə keçdi. Təcili qərargah yaradıldı və əhalinin ehtiyaclarını ən qısa müddətdə qarşılamaq üçün pulsuz qaynar xətt yaradıldı.

Koronavirusun qarşısını almaq üçün 2 ay ərzində gürcü, azərbaycan və erməni dillərində fəal şəkildə məlumat kampaniyası apardıq. Həkimlər tərəfindən PCR testləri aparılırdı, eyni zamanda əhalinin bir neçə mərhələdə kütləvi termoskrendinqi həyata keçirildi. Qeyd edək ki, əhali bu gündə sürətli antigen və PCR testlərini tamamilə pulsuz keçə bilər.

Bu müddət ərzindaə "sosial yardımın verilməsi və alınması qaydası" ilə müəyyən edilmiş proqramların heç biri dayandırılmadı. Bələdiyyə fəal şəkildə ehtiyacı olan ailələrə kömək etməyə başladı. Bələdiyyə daxilində ümumilikdə 13567 qida paketi paylandı. Karantin müddəti ərzində 530 faydalı dərman, müalicə, diaqnostik testlər və məişət problemlərinin həlli üçün maddi yardım təmin etdik.

Karantin dövründə ehtiyacı olan ailələrə müxtəlif növ yardımlar göstərən iş sektoruna, QHT-lərə və şəxslərə təşəkkür edirəm. Bu dəstək bizə çətin anlarda bir hədəf ətrafında birləşə biləcəyimizi aydın göstərdi və buna görə gələcəkdə də bunu davam etdirsək, inanıram ki, tezliklə hamımız birlikdə ölkəmizin xeyirinə bir çox uğurlar əldə edəcəyik.

Pandemiyaya baxmayaraq, bələdiyyədə infrastruktur işləri dayanmayıb. 2020-ci ildə Bolnisi Bələdiyyəsində 10.966.414 lari dəyərində 149 infrastruktur layihəsi həyata keçirildi.

Yol infrastrukturu və kanalizasiya sistemlərinin təşkili

2020-ci ildə rahat yol infrastrukturunun təşkili üçün 18 böyük layihə həyata keçirildi. Bələdiyyə daxilində ümumilikdə 6.138.235 lari dəyərində 9.938 metr yol çəkildi.

Əhalinin istəyi ilə bu il Kazreti qəsəbəsində 3 binanın yaxınlığında daxili yolun tikintisini həyata keçirdik. Binaların ətrafına asfalt döşədik və drenajlar düzəltdik. Xatırladaq ki, kənddəki 15.000 kvadratmetr zədələnmiş yollar "Armji" şirkəti tərəfindən təmir edilmiş, şirkət bir neçə binanın yaxınlığında daxili yolu da düzəltmişdir.

Bu il Ratevani kəndinin 5 küçəsinə asfalt döşənib. Sevinirəm ki, illərdir kənddəki daxili yol problemini tədricən həll edirik. Bu il daha 3 kəndə asfalt döşədik. Ümumilikdə, bələdiyyəyə 3808 metr uzunluğunda asfalt yol çəkilib. Görülən işlər "Bölgələrdə İcra Ediləcək Layihələr Fondu" və yerli büdcə tərəfindən maliyyələşdirilib və ümumi dəyəri 1.822.134 lari təşkil edib.

Bu il Çapala, Köhnə Kveşi, Kvemo Bolnisi, Mamxuti və Muşevani kəndlərində beton örtük döşəndi. Ümumilikdə, 2020-ci ildə 5050 metr uzunluğunda beton yol çəkilib, bunun üçün 2.818.681 lari xərclənib.

Yerli bazaltla döşənilmiş yol Bolnisi şəhərindəki Merab Kostava küçəsində, bitişik xiyabanlarında və İakob Çurtaveli küçəsində, həmçinin Kveşi kəndində təşkil edilmişdir. Bolnisi Bələdiyyəsi üzərindən 1080 metr asfalt yol çəkilməsinə ümumilikdə 1.497.419 lari xərclənmişdir.

Bu il Bolnisi şəhərindəki kanalizasiya şəbəkəsi problemini həll etməli olan "Marneuli Su və Kanalizasiya Sistemi və Bolnisi Kanalizasiya Sisteminin tikintisi" adlı tarixi layihənin inşasına başlandı. Bu mərhələdə mərkəzi magistral yolda işlər aparılır, bundan sonra şəhərdəki mövcud kanalizasiya sistemləri əsas şəbəkəyə qoşulacaqdır. Layihənin tam həyata keçirilməsindən sonra Bolnisinin qərb hissəsində daxili yolların təşkili işinə fəal başlayacağıq.

2020-ci ildə kanalizasiya şəbəkəsinin bərpası işləri həmçinin Kazreti qəsəbəsində, Aşağı Tamarisi qəsəbəsində, Bolnisi şəhərində də isə çoxmərtəbəli mənzillərdə kanalizasiya şəbəkəsinin bərpası həyata keçirilmişdir.

İçməli su sistemlərinin bərpası

Bolnisi Bələdiyyəsində içməli suyun bərpası üçün bu il yerli büdcə və "Kənd İnkişaf Proqramının" maliyyəsi ilə 126 layihə həyata keçirildi və ümumi dəyəri 806,983 lari. Bu il Talaveri kəndində su təchizatı şəbəkəsini də genişləndirdik. Bu gündən etibarən kənddə relyef səbəbindən içməli su gecikmə ilə yalnız bir rayona verilir və gələn il bu problemi aradan qaldırmaq üçün quyu qazılması planlaşdırılır.

Kənd Dəstək Proqramı

2020-ci ildə Bolnisi Bələdiyyəsinin Kazreti və Tamaris kəndlərində "Kənd Dəstək Proqramı" və yerli büdcənin birgə maliyyəsi ilə 1.349.008 lari dəyərində 55 infrastruktur layihəsi həyata keçirilmişdir. Layihələrin əsas istiqamətlərinə su sistemləri, yol infrastrukturu və idman sahələrinin təşkili daxildir.

Sosial layihələr

Bolnisi Bələdiyyəsi, şübhəsiz ki, sosial proqramları ilə seçilir. 2020-ci ildə bu istiqamətdə 3.302.900 lari xərclənmişdir. xəstələrə dərman

təmin etmək proqramı ilə 206 benefisiar büdcədən ayrılan 200.188 laridən faydalanmışdır. 348.100 lari, fiziki imkanları məhdud şəxsə yardım üçün, 15.300 lari isə bir yaşınadək sosial cəhətdən qorunmasız uşaqlara aylıq yemək verilməsinə xərcləndi.

2020-ci ildə inteqrasiya olunmuş uşaqlar üçün aylıq pul yardımı üçün 6.400 lari ayrıldı. Sosial cəhətdən qorunmasız ailələr üçün istilik mövsümü ərzində Bələdiyyə tərəfindən 581 nəfər benefisiar şəxsə maddi yardım göstərilib və bunun üçün 116,250 lari xərclənib. 2020-ci ildə mənzil kirayəsini ümumilikdə 18.800 lari olan 17 benifisiara ödədik. Sosial mənzildə yaşayan 38 ailə üçün kommunal xərclər 30.300 lari məbləğində xərcləndi.

Tibbi təminat proqramı ilə 2020-ci ildə 3.212 benefisiar, 936.812 lari büdcədən xərclənən məbləğdən faydalanmışdır. 12.300 lari müharibə veteranlarına və onlara bərabər tutulanlara yardım üçün xərcləndi. 6.780 benefisiar birdəfəlik yardımdan faydalandı, bu proqram çərçivəsində 2020-ci ildə 832.500 lari xərclədik. 2020-ci ildə təbii fəlakət nəticəsində dəymiş ziyanın ödənilməsinə 735.900 lari xərcləndi.

Turizmin təbliği

Bolnisi Bələdiyyəsini turistlər üçün cəlbedici bir yer halına gətirməyə çalışırıq. Turizm infrastrukturunu təşkil etmək üçün 2020-ci ildə də bir sıra vacib layihələr həyata keçirtdik. 2020-ci ildə Kveşi qalasına giriş yolunun təşkili üçün tarixi bir layihə həyata keçirildi. Kveşi qalasına giriş yolunun təşkili üzrə tarixi bir layihə həyata keçirilmişdir. Qalaya giriş yolu infrastruktur işləri çərçivəsində tamamilə düzəldilmişdir. Beton örtüyü 100 metr, 485 uzunluğu isə yerli bazaltla döşənmişdir. Müəssisədə xarici işıqlar və dəmir qorxuluklar quraşdırılmışdır. Layihənin ümumi dəyəri 595.000 lari idi.

2020-ci ildə Avropa Birliyi qrantının maliyyəsi ilə Tamaz Stefania küçəsinin bərpasi işlərinin ikinci mərhələsi həyata keçirildi. Layihə çərçivəsində evlərin fasadları bərpa edildi, çəpərlər düzüldü və hər bir sakinin qapıları yeniləndi. İşlərin ümumi dəyəri 54.300 lari təşkil etdi. AB qrantı çərçivəsində, bu il Bolnisinin tarixi hissəsində də köhnə

Alman məhəllələri və tarixi binalar haqqında bütün vacib məlumatları əks etdirən turizm işarələri qoyuldu.

Bolnisidə 21 iyulda yeni bir muzey açıldı. Muzeyin binasında beynəlxalq standartlara uyğun daimi bir sərgi və sərgi sahəsi təşkil edildi. Muzeydə Cənubi Almaniyadan Gürcüstanda məskunlaşan almanların iş və həyatından bəhs edən 200 illik ekspozisiya da nümayiş olunur. Muzeydə Goethe İnstitutu Media Kitabxanası da var. Diqqətəlayiq haldır ki, dünyanın 90-dan çox ölkəsində təmsil olunan Goethe İnstitutu ilk dəfə olaraq muzeydə media kitabxanası açır. Bolnisidəki yeni muzey "Armji" şirkəti tərəfindən maliyyələşdirilib, bu şirkətə təşəkkür edirəm. Düşünürəm ki, yeni muzey bir çox turist üçün maraqlı olacaq və bu məkan, bələdiyyəmizdə mütləq özünəməxsus yerini quracaqdır.

Bu il Sulxan-Saba Orbeliani Ədəbiyyat Muzeyi yaxınlığındakı Tandzia kəndində dükanların, atelyelərin və gəzintilərin təşkil ediləcəyi ən əhəmiyyətli layihə olan "Bolnisi Bələdiyyəsinin Tandzia Kənd İcmasının İqtisadi Gücləndirilməsi və Ticarət Fəaliyyətinin Təşviqi" layihəsini həyata keçirdik. Turizm sənayesində iştirak edən Tandziya əhalisi satış və xidmətləri yaxşılaşdırmaq üçün təlim alacaqlar.

UNDP layihə üçün 59,200 lari qrant ayırmışdır. Bələdiyyənin birgə maliyyələşdirilməsi 36 000 laridir. Qrant muzey üçün elektron platformanın yaradılmasını da nəzərdə tutur.

Kənd təsərrüfatının inkişafı

Kənd təsərrüfatı Bolnisi Bələdiyyəsinin lider sektorudur, bu səbəbdən bu istiqamətdə əhəmiyyətli layihələr həyata keçirməyə çalışırıq. 2020-ci ildə pandemiya şəraitində əkinçilərimiz kənd təsərrüfatı işlərinin istehsalına qarışmadılar. Karantin dövründə fermerlərin hərəkəti məhdudlaşdırılmaması üçün xüsusi icazələr verildi.

2020-ci ildə Naxiduri kəndində ixrac kartof toplama məntəqəsi açıldı. Bolnisi Bələdiyyəsi daxilində kartoflar bu paylama məntəqəsi vasitəsi ilə müxtəlif ölkələrə ixrac edildi. Koronavirusun yayılmasının qarşısını almaq üçün Naxiduri kəndində bir paylama məntəqəsi açılmasına koronavirusun yayılması səbəbi ilə qərar verildi. 2020-ci ildə isə Xatisopeli kəndində dövlətin maliyyə dəstəyi ilə "Birləşmiş Aqro Layihəsi" çərçivəsində açılan yeni bir soyuducu zavod işə başladı. Müasir standartlarla təchiz olunmuş müəssisədə ümumilikdə 1 milyon laridən çox sərmayə qoyulmuş, soyuducu təsərrüfatda 800 tona qədər tərəvəz saxlanıla bilər. Belə təsərrüfatların yaradılması, düşünürəm ki, bələdiyyədə bu sahənin daha da inkişafına səbəb olacaqdır.

Bolnisi Bələdiyyəsi üçün beynəlxalq təşkilatlarla tərəfdaşlıq xüsusilə vacibdir. Avropa Birliyi sayəsində, Gürcüstanda yerli başlanğıc fermerlərinə, kiçik və orta sahibkarlara Aqro Mərkəzi vasitəsi ilə məhsul istehsalına kömək edən yeganə bələdiyyəyik. Aqro Mərkəz 2020-ci ildə fəaliyyətə başlamışdır və fermerlərə gürcü, azərbaycan və erməni dillərində məsləhət xidmətləri göstərir, onlara maliyyə, hüquqi və marketinq yardımları göstərir. Mərkəz kənd təsərrüfatı məhsullarının müasir avadanlıqları, qablaşdırma, etiketləmə, filtrləmə və qablaşdırma istifadə edən fermerlər üçün səyyar xidmətlər də təqdim edir.

Məktəbəqədər müəssisələrin təşviqi

Pandemiya səbəbindən Bolnisi Bələdiyyəsindəki bütün uşaq bağçaları bağlandı və disdant təhsilə keçildi. Bolnisi Bələdiyyəsi, təhsil müddətinin dayandırılmasına baxmayaraq, məktəbəqədər təhsil müəssisəsinin bütün şagirdlərinə ərzaq paketləri paylamağa qərar verdi. Ümumilikdə dörd dəfə qida paketləri verdik, bunun üçün 385.134 lari xərclədik. Balacalarımıza da bələdiyyə meriyasından yeni il qabağı hədiyyələr verilməsi diqqət çəkir.

2020-ci ildə Kazretideki uşaq bağçasının binasının struktur möhkəmləndirilməsini həyata keçirdik. İşlər 2019-cu ildə bağ binasında aşkar olunan çatlaqlar nəticəsində zəruri oldu. Layihə yerli büdcədən maliyyələşdirilib və bunun üçün 209.176 lari xərclənib.

Bu il Tandzia kəndindəki məktəbəqədər təhsil müəssisəsinin yaş nöqtələri (tualet,hamam otağı), mətbəx və bir qrup tənzimləmə işləri aparıldı. Reabilitasiya işləri çərçivəsində qrupda istilik sistemi də quraşdırılmışdır. Layihə tamamilə yerli büdcədən maliyyələşdirilib və dəyəri 84.206 lari.

Orta məktəblərdə infrastrukturun təşkili

Dövlət məktəblərində infrastrukturun tənzimlənməsinə xüsusi

diqqət yetiririk və 2020-ci il istisna deyildi. Bu il Bolnisi N2, Kazreti N2, kəndlər: Kvemo Bolnisi, Xatisofli, Kvemo Bolnisi, Zemo Arkevani, Kvemo Arkevani, Javshaniani, Dzveli Kveshi və Geta dövlət məktəblərindəki yaş nöqtələr bərpa edildi. Kazreti 2 nömrəli Dövlət Məktəbində təbii fəlakət nəticəsində zədələnmiş dam təmir edilmişdir. 2020-ci ildə həmçinin Naxiduri kənd orta məktəbində hazırlıq qrupu təşkil edildi və Çapala kəndindəki məktəbin isə damı bərpa edildi.

Xatırladaq ki, Zvareti kəndində Bələdiyyə İnkişaf Fondunun maliyyəsi ilə 60 u.aq üçün nəzərdə tutulmuş yeni məktəbin tikintisi başa çatmışdır.

Gənclərin təbliği

Universitetlər bu il distant təhsilə keçsə də, Bolnisi Bələdiyyəsi tələbələrin maliyyələşdirilməsini dayandırmayıb. Tələbə Yardım Proqramı çərçivəsində 2020-ci ildə 147 tələbə 45,800 lari büdcədən xərclənən aylıq təqaüddən faydalandı. 135 əla tələbə üçün maliyyə 50.000 lari təşkil etmişdir. 2020-ci ildə həmçinin Bələdiyyə meriası "Etalon" layihəsinin qaliblərinə də təqaüd verdi.

Bolnisi Bələdiyyəsi 2020-ci ildə sərbəst güləş, cüdo, voleybol, boksda uğur qazanan idmançılara və ümumilikdə 101.850 lari xərclədiyi İdman Rəqsləri Çempionatında qalib gələnlərə aylıq pul təqaüdü verdi.

Pandemiyaya baxmayaraq, 2020-ci il Bolnisi Bələdiyyəsi üçün səmərəli bir il oldu. Onu da qeyd etmək istərdim ki, bu il Bolnisi Bələdiyyəsi tərəfindən təşkil olunan "Fikrini işıqlandır" onlayn viktorina Enerji Səmərəliliyi Mərkəzini Avropa Dayanıqlı Enerji Həftəsi ərzində keçirilən ən yaxşı üç fəaliyyət arasında seçdi.

Bolnisi Bələdiyyəsi Sakrebulosu Bolnisi Bələdiyyəsinin 2021 büdcəsini artıq təsdiqlədiyinə görə şadam. Gələn il üçün əsas maliyyə sənədi 28.914.000 lari olaraq təyin olundu. 2021 büdcəsi vətəndaşlarımızın ehtiyaclarını və bələdiyyənin çətinliklərini maksimum dərəcədə əks etdirir, ona görə inanıram ki, gələn il bizim üçün daha uğurlu olacaq. Bolnisi Bələdiyyəsi, 2021-ci ildə əsas məqsədi vətəndaşlarımızın rifahı və bələdiyyənin sürətli inkişafı olacaq bir sıra mühüm layihələr həyata keçirməyi planlaşdırır " – Davit Şerazadişvili.

არემჯი
სიახლეები
რიჩ მეტალს გრუპი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების შეჯამება

"არემჯისთვის", როგორც პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ინტეგრირებულია კომპანიის ბიზნეს სტრატეგიაში და ხდება მისი დანერგვა საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობაში.

სწორედ ამიტომ 2020 წლის აქტივობების უკეთ წარმოსაჩენად მათ შესაჯამებლად არემჯიმ ახალი ვიდეო რგოლი გადაიღო, სადაც წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი CSR პროექტები, რომლებიც კომპანიას საქმიანობის დღიდან აქვს განხორციელებული. „არემჯის" ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ადგილობრივი თემის, მათი სოციალური საჭიროებების უკეთ გაცნობა და შემდგომ შესაბამისი პროგრამების შეთავაზება წარმოადგენდა.

ბოლო წლებში ქვემო ქართლის რეგიონში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, აგრო, საგანმანათლებლო, კულტურული თუ სპორტული პროექტების მდგრადი მხარდაჭერით, კომპანიამ შეძლო ქართულ ბიზნესში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის კუთხით ერთ-ერთი ლიდერის პოზიციის მოპოვება. გასულ წელს „არემჯის" ბიზნესრეიტინგის მე-20 დაჯილდოებაზე „საუკეთესო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის" ჯილდოც გადაეცა.

სხვადასხვა სახელოვნებო პროექტების, სპორტსმენებისა და სპორტული გუნდების, შემოქმედებითი ახალგაზრდებისა და კოლექტივების, ბოლნისის მუზეუმის მშენებლობის, სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციების, ბოლნური მეღვინეობის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პროგრამებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების კუთხით ასეულობით პროექტში 2012 წლიდან დღემდე „არემჯის" მიერ განხორციელებული მხარდაჭერა 50 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

კომპანია სამომავლოდ გეგმავს ყველა იმ პროექტის გაგრძელებას, რომელსაც რამდენიმე წელია აქტიურად უჭერს მხარს ქვემო ქართლში და რომლის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესისა და განათლების პოპულარიზაცია, მცირე მეწარმეების მხარდაჭერა და სხვა. ასევე ექნებათ ახალი პროექტებიც, რომელიც გასცდება რეგიონის ფარგლებს და მთელ საქართველოს მოიცავს.

დაბა კაზრეთის სოციალურ საცხოვრისს არემჯიმ შობა-ახალი წელი მიულოცა

დაბა კაზრეთის სოციალურ საცხოვრისს საახალწლო განწყობის შესაქმნელად ესტუმრნენ სანტა კლაუსი, მხიარული ელფი და ფიფქია. საცხოვრისში მცხოვრებ 50-მდე ბავშვს მხიარულმა გმირებმა დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და მათ საჩუქრები გადასცეს.

,,კომპანია ,,არემჯიმ" ტრადიციულად ბავშვებს ერთი ლამაზი დღე აჩუქა. ძალიან ბევრი ვიფიქრეთ ამ პანდემიის დროს რითი შეგვეძლო გაგვეხარებინა ადგილობრივი ბავშვები. ვესტუმრეთ დაბა კაზრეთის სოციალურად დაუცველთა საცხოვრისს, სადაც ჩამოვიყვანეთ თოვლის ბაბუა და ამ რთულ დროს ბავშვებისათვის მოვახერხეთ საუკეთესო ზეიმის მოწყობა და მათი გამხიარულება".- ნატალი ნოზაძე კომპანია ,,არემჯის" პიარ მენეჯერი.

,,კაზრეთში არის სოციალური საცხოვრისი, სადაც ცხოვრობს 20 ოჯახი სოციალურად დაუცველები, მათ შორის არიან მცირეწლოვანი ბავშვები. კომპანია ,,არემჯიდან" დამიკავშირდნენ წარმომადგენლები და მითხრეს, რომ სიურპრიზის მოწყობას აპირებდნენ. ეს ჩვენთვის მართლა მოულოდნელი იყო და მიხარია, რომ ასე ძალიან გაახარეს ჩვენი ბავშვები".- მაკა კავლელაშვილი კაზრეთის მცხოვრები.

ნანა ჯაფარიძე

გეოლოგიურ- ტექნოლოგიური ლაბორატორიის უფროსი

როგორც თავად ნანა ჯაფარიძე ამბობს, კომპანია არემჯი მეორე ოჯახია, აქ სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო შრომითი საქმიანობა და 32 წელია ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს. ჯერ „მადნეულის" სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში, კარტირების ჯგუფში ფლოტატორად მუშაობდა. რამდენიმე წელში ფლოტატორ - ლაბორანტად გადაიყვანეს, შემდეგ კი ახალგაზრდა კადრი ჯგუფის უფროსად დაინიშნა, დღეს გეოლოგიურ - ტექნოლოგიური ლაბორატორიის უფროსის თანამდებობას იკავებს, წლების მანძილზე დაუღალავი შრომისა და ერთგულებისათვის 2019 წელს მას სამთოელის წოდება მიენიჭა.

„სამთოელის ჯილდოს გადმოცემამ დამატებითი მოტივაცია და სტიმული გამიჩინა, ვთვლი, რომ ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის, ლაბორატორიის თითოეული ფლოტატორის დაუზოგავი შრომისა და გუნდური მუშაობის შედეგია. ლაბორატორია ჩემთვის მეორე ოჯახია, „მოექეცი ადამიანებს ისე, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ" ამ დევიზით ვცხოვრობ და ვმუშაობ კომპანიაში უკვე 32 წელია. ამ წლების განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა, ამჟამინდელი მენეჯმენტის ხელშეწყობით გარემონტდა ლაბორატორია, აღიჭურვა ახალი დანადგარებით, ფლოტატორებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი წარმატებული მუშაობისთვის. იმდენად საინტერესოა გამდიდრების პროცესი, თუ როგორ ცილდება სასარგებლო კომპონენტი ფუჭ ქანს, ღებულობ შედეგს და ამას შენი თვალით უყურებ, ალბათ თავიდან რომ მიწევდეს პროფესიის არჩევა, ნამდვილად არ შევცვლიდი მას. დღეს ლაბორატორიაში ახალი თაობა გვყავს, რომელიც იმსახურებს შექებას, თავიანთი შრომისმოყვარეობისა და კეთილსინდისიერების გამო.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.